

## გამოყენების ინსტრუქცია



### ხველის საწინააღმდეგო შრალი მიქსტურა ბავშვებისთვის

#### შემადგენლობა

აქტიური ნივთიერება: 19.55გ ფხვნილი შეიცავს: ალთეს ფესვების მშრალი ექსტრაქტი - 4გ; ნატრიუმის ჰიდროკარბონატი - 2გ; ნატრიუმის ბენზოატი - 2გ; ძირტვილას ფესვების მშრალი ექსტრაქტი - 1გ; ამონიუმის ქლორიდი - 0,5გ, ანისის ზეთი - 0,05გ; დამხმარე ნივთიერება: შაქარი;

წამლის ფორმა: ფხვნილი. მუქი-რუხი ფერის ფხვნილი ანისის ზეთის სუნით. შენახვის პერიოდში შესაძლებელია ფხვნილის გამყარება ან მყარი ფორებიანი მასის წარმოქმნა, რომელიც იხსნება წყლის დამატების შემდეგ. პრეპარატის წყლის სუსპენზიას (1:10) აქვს ღია ყავისფერიდან მუქ ყავისფერამდე შეფერილობა.

#### მწარმოებელი

ღსს „ტერნოფარმი“

უკრაინა, 46010, ქ. ტერნოპოლი, ფაბრიჩნაიას ქ. 4

ტელ/ფაქსი: (0352) 521-444, <http://www.ternopharm.com.ua>.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ამოსახველებელი, სეკრეტომოტორული საშუალება.  
ATC R05C A10.

პრეპარატი ახდენს ამოხველების სტიმულირებას. მოქმედების მექანიზმი განპირობებულია ლორწოს გამოყოფის გაადვილებით (გაზრდილია მუკოცილიალური კლირენსი).

ჩვენება: პრეპარატი გამოიყენება როგორც ხველის საწინააღმდეგო, ანთების საწინააღმდეგო და ამოსახველებელი საშუალება სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების კომპლექსური მკურნალობისას.

უკუჩვენება: პრეპარატში შემავალი კომპონენტების მიმართ ჰიპერმგრძობელობა.

განსაკუთრებული სიფრთხილე: ხველის საწინააღმდეგო მშრალი მიქსტურა ბავშვებისთვის ინიშნება კომპლექსურ თერაპიაში. ნახველის გათხიერების და გამოყოფის გაუმჯობესების მიზნით ამოსახველებელი საშუალებების მიღებისას რეკომენდებულია დიდი რაოდენობით თბილი სითხის მიღება.

